ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N03

2024 წლის 31 იანვარი
ქ. ამბროლაური

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

ა ა ი პ ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენრტის დირექტორის

ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში 2023 წელს, შემოსულია 404 სასწრაფო შეტყობინების ბარათი, რომელიც ეხებოდა ცხოველების მიერ დაკბენილებს და დადორბლილებს. ყველა შეტყობინება გადაცემულია სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოზე დამკბენ ცხოველზე 10 დღიანი მეთვალყურეობის დასამყარებლად. შემოსული პასუხების შედეგად, ყველა ცხოველი არის კლინიკურად ჯანმრთელი. დაკბენილ პაციენტებს ჩაუტარდათ ვაქცინაციის სხვადასხვა კურსი, რისთვისაც ჯანდაცვის ცენტრმა გასცა შესაბამისი დოზა ანტირაბიული ვაქცინა.

იმუნიზაციის პროგრამის ჩატარების მიზნით შემოსულია შემდეგი რაოდენობის ასაცრელი მასალა;
ჰექსაქსიმი--- 156 დოზა. როტა 94 დოზა ბცჟ- 300 ჰეპატიტი ბ-80 დოზა, . წწყ-146 დოზა. პნევმოკოკური—148 დოზა, ტდ--200. აპვ-66, ანტირაბიული ვაქცინა 1130 დოზა. ანტირაბიული იმუნოგლობულინი 150 დოზა, ტეტრაქსიმი-122 დოზა . გრიპი --1300

გაცემული ასაცრელი მასალის შედეგად ჩატარდა შემდეგი პროფილაქტიკური აცრები: პნევმოკოკური—170, .ტდ-70, ჰექსაქსიმი—189, აპვ---57 ბცჟ—29, ჰეპატიტი ბ-29, როტა--106 , ტეტრაქსიმი--119. წწყ--105.

იმუნიზაციის სახელმწიფო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში მუშავდება სპეციალური ელექტრონული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ყველა რუტინული აცრის და გაცემული ასაცრელი მასალის დაფიქსირებას ელექტრონულ მოდულში.

დაფიქსირდა შემდეგი ინფექციური დაავადებები: სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა--84 შემთხვევა .სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა -22. ლაიმის დაავადება (ბორელიოზი) 3; ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია--321, დადასტურდა ძაღლებში ცოფის 9 შემთხვევვა, გამოკვლეული იყო მასთთან კონტაქტში მყოფო პირები, ანტირაბიული ვაქცინით აცრების სრული კურსი ჩაუტარდა 25 ადამიანს , ლეპტოსპიროზი - 2; ჩუტყვავილა- 5;. .

დროულად ხდება ვაქცინების მომარაგება, 2023 წლის განმავლობაში ვაქცინებისა და ტესტების შემოტანაზე წყვეტა არ ყოფილა.

შემოტანილი არის სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. სულ შემოსულია 1300 დოზა ვაქცინა რითაც აიცრა შესაბამისი კონტიგენტის 1257 ბენეფიციარი.

პერიოდულად გავდივართ საჯარო სკოლებში და საბ. ბაღებში და ვატარებთ მონიტორინგს პროფილაქტიკური აცრების დროულად ჩატარების აუცილებლობაზე, ჰიგიენის წესების დაცვაზე, განსაკუთრებით კოვიდ დადსტურებულ შემთხვევებთან კონტაქტში მყოფი პირების ხელების დაბანის წესების ზედმიწევნით შესრულებაზე და პირბადის ტარების აუცილებლობაზე.

უბნებზე ვაწარმოებთ აპვ ვაქცინის დროულად აცრის მონიტორინგს.

განსაკუთრებით აქტიურად გვქონდა გასვლები ევროპის იმუნიზაციის კვირეულში 24-30 აპრილი. გასვლები გვქონდა რაიონის პირველ და მეორე საჯარო სკოლებში, საბავშვო ბაღებში. ჩაუტარეთ

მონიტორინგი აცრების დროულად ჩატარების მნიშვნელობაზე, სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის მნიშვნელობაზე.

პერიოდულად მიმდინარეობს სილამაზის სალონების შემოწმება. შემოწმებული იქნა ქ ამბროლაურში მდებარე სილამაზის სალონი „ მარი“ , „ჟენია“,“ირინა“ და „ მურმანი“.

მიმდინარე წლის ივლისის თვეში წნევის გაზომვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ს ს ი პ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მივიღეთ მოსახლეობის წნევის გაზომვის კომპანიაში, რომელიც მაშტაბურად ჩატარდა ქ ამბროლაურში

დასრულდა სტატისტიკური ანგარიშების მიღება დამუშავება 2024 წლის იმუნიზაციის პროგრამის სწორად წარმართვაში . შედგა მიმდინარე წლის აცრების და ასაკობრივი ჯგუფების სტატისტიკის ფორმები, რომლებიც გადაეცა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

გრძელდება ახალი კორონავირუსული დაავადების covid 19- ის ტესტირება . სულ წლის განმავლობაში რაიონში სწრაფი ტესტი ჩაუტარდა 1668 პიროვნებას, დადასტურდა 153 დადებითი შემთხვევა. გადაყვანილი იყო--5, გარდაიცვალა–2.

ვატარებთ ვერბალური აუტოფსიის კვლევას. უცნობი გარდაცვალების მიზეზის მოძიების მიზნით, ვაგროვებთ ინფორმაციას , ვაჯამებთ და ვაწვდით ს ი პ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შემდეგი სტატისტიკური ანალიზისთვის.

2023 წელს ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგი (მუნიციპალური) პროგრამით ჩაუტარდა 805 ბენეფიციარს.

ფინანსური ანგარიშის ფორმები თან ერთვის.

ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის

ცენტრის დირექტორი ზ. ნემსწვერიძე

ა(ა)იპ. ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

(სუფსიდია)

N	დასახელება	2023 წლის გეგმა	ფაქტ ხარჯი	
1	ხელფასი	90485.25	89515.68	
	პრემია	7667.75	6134.2	
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1078.75	676.75	
2	მივლინება	500	120	
3	ოფისი სულ	1880	1343.45	
	მ.შ საკანცელარიო	440	355.25	
	საოფისე სანიტ ნივთების შეძენის ხარჯი	300	292	
	ოფისისათვის საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	240	202	
	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	300	287	
	საფოსტო ხარჯი	300	157.2	
	კავშირგაბმულობის ხარჯი	300	50	
4	სამედიცინო ხარჯი	1000	720	
	დაქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება			
5	ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლაშენახვის ხარჯი	5440	4211.75	
	მ.შ საწვავის ხარჯი	3190	2106.75	
	ექსპლოატაციის , მოვლა შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	2190	2045	
	ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლაშენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები	60	60	
6	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	6428.25	749.8	
	საარქივო მომსახურების ხარჯი	500		
	სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	5928.25	749.8	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4300	1718	
	სულ	118780	105189.63	

ა ა ი პ ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრის

დირექტორი: ზ. ნემსწვერიძე

ბუღალტერი: ნ. თომაძე

ა ა იპ ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
შესრულება (საკუთარი შემოსავალი)
2023 წელი

დასახელება	მიღებული თანხა	გაცემ ხელფასი	საწვავი	თანხის უკან დაბრუნება	სულ ხარჯი	ნაშთი
ნაშთი 1.01.2023						7144.92
ეპიდზედამხედველობის სახ პროგრამა	8990	7730	933.11		8663.11	
COVID 19 დიაგნოსტიკა	855	598.5		12	610.5	
ს უ ლ	9845	8328.5	933.11	12	9273.61	7716.31

ცენტრის დირექტორი ზ ნემსწვერიძე

ბუღალტერი ნ თომაძე